ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №45

14 თებერვალი 2013 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული

ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ბ.“ქვეპუნქტისა და „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის N32 დადგენილების მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-17 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გადაეცეს უსასყიდლო აღნაგობის უფლებით საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელ ეკლესიას“ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დ. ჩოხატაურში წერეთლის ქუჩაზე მდებარე 469 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.21.159).

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს 20 (ოცი) წლით.

3. მუნიციპალიტეტის გამგეობამ (თამაზ ჟინჭარაძე) უზრუნველყოს მხარეთა შორის გასაფორმებელი უსასყიდლო აღნაგობის ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის მომზადება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. №4.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის“ 2013 წლის 4 თებერვლის N62 წერილი.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*